



გალტ & თამარიძე

შპს გენერალური ინჟინერები



ელექტროენერგიის ბაზარი საქართველოში - ივნისი 2026

22 ივლისი 2026



მარიამ ჩახვაშვილი

სექტორის უფროსი | mchakhvashvili@gt.ge

ანა ჯეჯელავა

წამყვანი ანალიტიკოსი | a.jejelava@gt.ge



ძირითადი ტენდენციები

2026 წლის ექსპორტის შემცირება და გენერაციის შეზღუდვები საქართველოს ენერგოსისტემის სეზონურ გამოწვევებს ნათლად გვაჩვენებს

2026 წლის ივნისში ადგილობრივი მოხმარება წლიურად 0.3%-ით გაიზარდა და 1.1 ტვტ.სთ შეადგინა, ხოლო ექსპორტი 84.3%-ით შემცირდა 0.004 ტვტ.სთ-მდე. შედეგად, ჯამურმა მოთხოვნამ 15.5%-ით იკლო 1.1 ტვტ.სთ-მდე.

ივნისში ელექტროენერგიის კომერციული ექსპორტი არ განხორციელებულა. ერთდერითი ექსპორტიორი იყო ესკო, რომელმაც დააბრუნა ძველი ვალი. ექსპორტის შემცირების მიზეზი თურქეთში ჭარბი გენერაცია იყო, რის გამოც თურქეთმა შეზღუდა საქართველოდან იმპორტი.

საქართველოში ელექტროენერგიის გენერაცია წლიურად 16.3%-ით შემცირდა. შემცირებული მოთხოვნის ფონზე, საქართველოს ელექტროსისტემას მოუწია გენერაციის შეზღუდვა მოთხოვნა-მიწოდებას შორის ბალანსის დასაცავად, მაისის მსგავსად. ჩვენი მოლოდინით, ივლისში გენერაციის შეზღუდვის მოცულობა შემცირდება, სეზონურად შემცირებული ჰიდროგენერაციის და 6 ივლისიდან დაწყებული ექსპორტის გამო.

2026 წლის პირველ ნახევარში, საქართველოში ელექტროენერგიის ადგილობრივი მოხმარება წლიურად 5.1%-ით გაიზარდა და 7.3 ტვტ.სთ შეადგინა. იმპორტისა და თბოგენერაციის წილი ჯამურ მიწოდებაში 31.1%-ს წარმოადგენდა (vs 25.8% 1H25).

გაზრდილია იმპორტ-დამოკიდებულება იანვარ-აპრილში და შემცირებულია ექსპორტი მაისი-ივნისში, რაც საქართველოს სეზონურ გამოწვევებს უსვამს ხაზს.


აუცილებელი ხდება ისეთი ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც უპასუხებს საქართველოს სეზონურ გამოწვევებს. ესენია: რეზერვუარიანი ჰიდროსადგურები, ქარის სადგურები, ენერგიის დამაგროვებელი ბატარეები და საექსპორტო ინფრასტრუქტურა (შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის ჩათვლით).

ცხრილი 1: ელექტროენერგიის ბალანსი, ივნისი 2026

ბალანსი	ტვტ.სთ	წლიური ზრდა	წილი საერთო მოცულობაში
მოთხოვნა	1.1	-15.5%	100%
ადგილობრივი მოხმარება	1.1	+0.3%	93.5%
ექსპორტი	0.004	-84.3%	3.2%
დანაკარგი	0.04	-27.3%	3.2%
მიწოდება	1.1	-15.5%	100%
ადგილობრივი გენერაცია	1.1	-16.3%	98.9%
იმპორტი	0.01	N/A	1.1%

წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: N/A – 2026 წლის აპრილიდან შეიცვალა იმპორტ-ექსპორტის აღრიცხვის მეთოდოლოგია (დებატურად იხ. საგარეო ვაჭრობა).

გრაფიკი 1: ელექტროენერგიის მოთხოვნა-მიწოდება, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი

ცხრილი 2: ელექტროენერგიის ბალანსი, 1H26

ბალანსი	ტვტ.სთ	წლიური ზრდა	წილი საერთო მოცულობაში
მოთხოვნა	7.6	+0.1%	100%
ადგილობრივი მოხმარება	7.3	+5.1%	95.2%
ექსპორტი	0.12	-73.0%	1.6%
დანაკარგი	0.25	-7.1%	3.3%
მიწოდება	7.6	+0.1%	100%
ჰიდრო, ქარი, მზე	5.3	-7.0%	68.9%
თბოსადგურები	1.21	+24.8%	15.9%
იმპორტი	1.16	+17.7%	15.3%

წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი



ელექტროენერგიის მოხმარება


ელექტროენერგიის მოხმარება შემცირდა აფხაზეთში და გაიზარდა პირდაპირი და საცალო მომხმარებლებისთვის

ელექტროენერგიის მოხმარება 2026 წლის ივნისში წლიურად 0.3%-ით გაიზარდა და 1.1 ტვტ.სთ შეადგინა. სეგმენტების მიხედვით:

- აფხაზეთის რეგიონი: -8.7% წ/წ
- პირდაპირი მომხმარებლები: +2.5% წ/წ
- საცალო მომხმარებლები: +1.5% წ/წ

მოხმარების ეს ტრენდი დაკავშირებულია კლიმატურ ფაქტორებთან და ენერგოინტენსიური საწარმოების სტაბილურ მუშაობასთან.

გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარების პროფილი მომხმარებელთა ჯგუფების მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი

შენიშვნა 1: **საცალო მოხმარება** მოიცავს ეპ ჯორჯია მიწოდების, ენერგო-პრო ჯორჯიას, თელმეიკოს და თელასის მოხმარებას და თავისუფალ მიმწოდებლებს.

შენიშვნა 2: **პირდაპირ მომხმარებლებად** სავალდებულო რეგისტრაციის კრიტერიუმში ამჟამად შეადგენს თვეში 0.4 გვტ.სთ მოხმარებას. ბაზრის შემდგომი გახსნის ეტაპი გადავადდა 2027 წლის ივლისამდე.



ელექტროენერგიის გენერაცია

ივნისში გენერაცია შემცირდა სისტემის ოპერატორის მიერ დანახებული გენერაციის შეზღუდვის გამო.


ივნისში მოხმარების უმნიშვნელო ზრდას დაემთხვა ექსპორტის მინიმუმამდე შემცირება, რის გამოც ჯამური მოთხოვნა შემცირდა. მოთხოვნა-მიწოდებას შორის ბალანსის დასაცავად, სისტემის ოპერატორმა (ელექტროსისტემამ), მაისის თვის მსგავსად, მოითხოვა გენერაციის შეზღუდვა. ჩვენი ინფორმაციით, ივნისში კარგი ჰიდროლოგია იყო და რომ არა შეზღუდვები, გენერაცია წლიურად გაიზრდებოდა. შესაბამისად, გენერაციის წლიური კლება მეტწილად შეზღუდვებით აიხსნება.

2026 წლის ივნისში ადგილობრივი გენერაცია 16.3%-ით შემცირდა და 1.1 ტვტ.სთ შეადგინა, აქედან:

- **ჰიდროგენერაცია: -16.1% წ/წ, მათ შორის:**
 - ენგურ-ვარდნილი: +3.3% წ/წ
 - სხვა რეგულირებადი ჰესები: -30.7% წ/წ
 - დერეგულირებადი ჰესები: -34.8% წ/წ
- **ქარის და მზის გენერაცია: -14.0% წ/წ**
- **თბოგენერაცია: მინიმალური გენერაცია ტესტირების გასავლელად.**

ელექტროენერგიის კომერციული იმპორტი არ განხორციელებულა.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის გენერაცია და იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი



გენერაციის შეზღუდვების გაგრძელებას ივლისის პერიოდში არ მოველით, რადგან:

- ისტორიულად, ივლისის ბვე ნაკლები გენერაციის სიჭარბით ხასიათდება - დასრულებულია წყალუხვობის პერიოდი მდინარეებში.
- საქარბვლოს კლიმატური პირობებისა და ბურისბული სეზონის გააქტიურებასთან ერთად, მოსალოდნელია ადგილობრივი მოხმარების ზრდაც.
- ბურბეში ექსპორტი დაიწყო 6 ივლისიდან, რაც ენერგიაზე მობხოვნას გაზრდის.
- ესკოს გაფორმებული აქვს ბურბეთან ბარბერის შეთანხმება, რომლის პირობებიც შეგიძლიათ იხილოთ ჩვენი მაისის ბვის მიმოხილვაში. ბარბერის გამოყენება გაზრდის ექსპორტს და შესაბამისად მობხოვნას ელექტროენერგიაზე.



ელექტროენერგიით საგარეო ვაჭრობა

2026 წლის ივნისის თვეში კომერციული იმპორტი და ექსპორტი არ განხორციელებულა

2026 წლის ივნისში თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი შემცირდა 7.9-ჯერ რაოდენობრივად და 12.0-ჯერ ღირებულებით. ექსპორტმა თურქეთში შეადგინა 24.0 გვტ.სთ და 0.7 მლნ აშშ დოლარი, ხოლო, ექსპორტის საშუალო ფასმა კვტ.სთ-ზე 2.8 აშშ ცენტი (-34.4% წ/წ). ერთდერითი ექსპორტიორი იყო ესკო, რომლის მიზანიც იყო ძველი ვალის დაბრუნება.


ექსპორტის ფასის, მოცულობისა და შემოსავლის ასეთი შემცირება თურქეთის ბაზარზე ფასების მკვეთრ კლებას და თურქეთში გაზრდილ გენერაციას უკავშირდება:

- 2026 წლის ივნისში, ელექტროენერგიის საშუალო ფასი თურქეთის ბაზარზე შეადგენდა 2.9 აშშ ცენტს/კვტ.სთ-ზე, რაც წლიურად 34.4%-იანი კლება, თუმცა თვიურად 61.1%-იანი ზრდაა.
- ასეთი დაბალი ფასი ექსპორტის ეკონომიკურ მიზიდულობას მნიშვნელოვნად ამცირებს, რადგან ექსპორტიორებს გადაცემის ტარიფისა და გარანტირებული სიმძლავრის საფასურის გადახდაც უწევდათ - ჯამში 1.5 ცენტის.
- თურქეთის ბაზარზე ელექტროენერგიის გენერაცია იმდენად გაიზარდა, რომ თურქეთმა უარი თქვა საქართველოდან ელექტროენერგიის კომერციულ იმპორტზე. თურქეთის ბაზარზე გენერაციის ზრდა გამოწვეული იყო კარგი ჰიდროლოგიით და მზის სადგურების ინტენსიური მშენებლობით.

საქართველოდან თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი დაიწყო 6 ივლისს, რაც თურქეთის ბაზარზე ფასების ზრდით იყო გამოწვეული. 1-20 ივლისის საშუალო მაჩვენებლით, თურქეთში ელექტროენერგიის საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 6.0 აშშ ცენტს შეადგენდა. 2026 წლის ივლისში ექსპორტიორი კომპანიები არიან აჭარ-ენერჯი 2007, ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია, სვანეთი ჰიდრო, კასლეთი 2, შპს აისი, ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი და ესკო.




გრაფიკი 4: ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში (მლნ დოლარი) და საშუალო ფასი (ცენტი/კვტ.სთ)



წყარო: სემევი, ესკო, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 5: ელექტროენერგიის ფასი თურქეთში 2026 წლის ივნისი, ცენტი/კვტ.სთ




წყარო: EPIAS, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: საათობრივი ფასის საშუალო მაჩვენებელი

ექსპორტი აზერბაიჯანშიც დაფიქსირდა, თუმცა ესეც არ იყო კომერციული ტრანზაქცია. აღნიშნული მოცულობა აზერბაიჯანთან სინქრონული პარალელური მუშაობისთვის განხორციელებულ ტექნიკურ გაცვლას წარმოადგენდა და იმავე მოცულობისა და ღირებულების იმპორტით დაბალანსდა. 2026 წლის აპრილიდან შეიცვალა აღრიცხვის მეთოდოლოგია და ეს გაცვლა, რომელიც მანამდე ბალანსში სალდირებულად აისახებოდა, ახლა ცალ-ცალკე ფიქსირდება იმპორტსა და ექსპორტში.

გრაფიკი 6: ელექტროენერგიის იმპორტი და ექსპორტი, გვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: 2026 წლის აპრილიდან იმპორტ-ექსპორტის აღრიცხვის მეთოდოლოგია შეიცვალა: აზერბაიჯანთან სინქრონული პარალელური მუშაობისთვის განხორციელებული გაცვლა, რომელიც ადრე სალდირებულად ჩანდა, ახლა ცალ-ცალკე აისახება იმპორტსა და ექსპორტში.




საბალანსო ბაზარი და ფასები

საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო ფასი 2026 წლის ივნისში წლიურად 1.8%-ით გაიზარდა და კვტ.სთ-ზე 5.3 აშშ ცენტი შეადგინა.

ამასთან, საბალანსო მოცულობა წლიურად 23.3%-ით შემცირდა და 0.14 ტვტ.სთ შეადგინა, რაც ჯამური მიწოდების 13%-ს წარმოადგენს.

გრაფიკი 7: საბალანსო ელექტროენერგიის მოცულობა (ტვტ.სთ) და ფასი (ცენტი/კვტ.სთ)



წყარო: სემევი, ესკო, საქსტატი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: საშუალო ფასი გულისხმობს ესკოს საბალანსო ელექტროენერგიის გასაყიდ ფასს




ელექტროენერგეტიკული ბირჟა

2027 წლის 1 ივლისამდე, ელექტროენერგეტიკული ბირჟა მოქმედებს გარდამავალი მოდელით და ვაჭრობა არის ნებაყოფლობითი ხასიათის. ბირჟაზე ელექტროენერგიით ვაჭრობა შეუძლიათ მხოლოდ საბითუმო ბაზარზე რეგისტრირებულ პირებს.


2026 წლის ივნისში, ელექტროენერგეტიკულ ბირჟაზე ვაჭრობა შედგა 18-30 ივნისის პერიოდში, ჯამში 13.2 გვტ.სთ მოცულობით (-65.6% წ/წ), საშუალო ფასით კვტ.სთ-ზე 4.2 აშშ ცენტი (-10.0% წ/წ).

გრაფიკი 8: ელექტროენერგიით ვაჭრობა ბირჟაზე, მოცულობა (მგვტ) და ფასი (დოლარი/მგვტ.სთ), ივნისი 2025 წელი



წყარო: სენბი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 9: ელექტროენერგიით ვაჭრობა ბირჟაზე, მოცულობა (მგვტ) და ფასი (დოლარი/მგვტ.სთ), ივნისი 2026 წელი



წყარო: სენბი, გალტ & თაგარტი



რეგულაციური სიახლეები

პირდაპირ მომხმარებლად სავალდებულო რეგისტრაციის ვადებში ცვლილებები შევიდა

2026 წლის 30 ივნისს შევიდა ცვლილება "ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციაში" და გადავადდა პირდაპირ მომხმარებლად სავალდებულო რეგისტრაციის ვადები. საბითუმო ბაზარზე პირდაპირ მომხმარებლად რეგისტრაცია სავალდებულო გახდება :

- o 2027 წლის 1 ივლისიდან - ყველა იმ კომპანიისთვის, რომლებიც მიერთებულია 35-110 კვ ძაბვაზე და 6-10 კვ ძაბვის იმ მომხმარებლებისთვის, რომლის თვიური მოხმარებაც 1 მლნ კვტ.სთ-ზე მეტია.
- o 2028 წლის 1 ივლისიდან ყველა კომერციული მომხმარებლისთვის, გარდა მცირე საწარმოებისა (IV კატეგორია)
- o დღეის მდგომარეობით, სავალდებულო წესით პირდაპირ მომხმარებლად რეგისტრირებულები არიან ის კომპანიები, რომელთა საშუალო თვიური მოხმარება 0.4 გვტ.სთ-ზე მეტია და მიერთებულია 35-110 კვ ან უფრო მაღალ ძაბვაზე.

ნეტო აღრიცხვის ლიმიტები სრულად ამოიწურა საქართველოს მასშტაბით

მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურებისთვის ნეტო აღრიცხვის რეგულაცია ვრცელდებოდა 2027 წლის 1 იანვრამდე, ან სემეკის მიერ დაწესებული ლიმიტის ამოწურვამდე. ლიმიტი იყო გამანაწილებელი ლიცენზიანტის (თელასი ან ენერგო-პრო ჯორჯიას) პიკური დატვირთვის 20%, რომელიც ამოიწურა სს „ენერგო პრო ჯორჯიასთვის“ 2025 წლის 15 თებერვალს და სს „თელასი“-სთვის 2026 წლის 2 ივნისს.

2026 წლის ივლისის მდგომარეობით, ნეტო აღრიცხვის რეგულაციით 2607 სადგური სარგებლობს, 339 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრით. ეს სადგურები ისარგებლებენ არსებული ნეტო აღრიცხვის პირობებით 2033 წლის 1 იანვრამდე.

მიკრო სიმძლავრის სადგურებისთვის ამოქმედდა ნეტო დარიცხვის რეგულაცია. ახალი განაცხადის მსურველებს აქვთ უფლება საკუთარი მოხმარებისთვის ააშენონ 100 კილოვატამდე ელექტროსადგური სემეკის მიერ დადგენილი ახალი მიდგომით - ნეტო დარიცხვა, რომელიც ითვალისწინებს ყოველთვიურ ფინანსური ანგარიშსწორებას. ნეტო დარიცხვის პირობები დეტალურად აღწერილი გვაქვს აქ.



ელექტროენერგიის ბალანსი, გვტ.სთ

	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026F
ადგილობრივი მოხმარება, ჯამური	12,136	13,730	14,165	13,053	13,834	14,317	14,908
% ცვლილება წ/წ	-4.9%	13.1%	3.2%	-7.9%	6.0%	3.5%	4.1%
საიდანაც:							
აფხაზეთის რეგიონი	2,552	2,956	3,029	2,703	2,553	2,486	2,635
% ცვლილება წ/წ	23.9%	15.8%	2.5%	-10.8%	-5.6%	-2.6%	6.0%
პირდაპირი მოხმარებლები	2,438	3,554	3,726	2,779	3,142	3,430	3,567
% ცვლილება წ/წ	-14.9%	45.8%	4.8%	-25.4%	13.1%	9.2%	4.0%
საცალო ბაზრის მოხმარება	7,146	7,219	7,411	7,572	8,139	8,401	8,707
% ცვლილება წ/წ	-8.8%	1.0%	2.7%	2.2%	7.5%	3.2%	3.6%
ადგილობრივი გენერაცია, ჯამური	11,160	12,645	14,247	14,396	14,234	13,838	13,921
% ცვლილება წ/წ	-5.9%	13.3%	12.7%	1.0%	-1.1%	-2.8%	0.6%
საიდანაც:							
თბოსადგურები	2,821	2,380	3,388	3,446	2,812	2,767	2,767
% ცვლილება წ/წ	-0.7%	-15.6%	42.4%	1.7%	-18.4%	-1.6%	0.0%
ქარის და მზის სადგურები	91	83	87	86	78	84	104
% ცვლილება წ/წ	7.3%	-8.2%	5.0%	-1.6%	-9.9%	8.3%	24.2%
ჰიდროსადგურები	8,248	10,182	10,771	10,863	11,344	10,987	11,050
% ცვლილება წ/წ	-7.7%	23.4%	5.8%	0.9%	4.4%	-3.2%	0.6%
საგარეო ვაჭრობა							
იმპორტი	1,610	2,006	1,533	790	1,228	1,558	1,692
% ცვლილება წ/წ	-1.0%	24.6%	-23.6%	-48.5%	55.4%	26.9%	8.6%
ექსპორტი	154	391	971	1,468	1,047	511	250
% ცვლილება წ/წ	-36.8%	154.2%	148.4%	51.2%	-28.7%	-51.2%	-51.1%
სავაჭრო ბალანსი	-1,456	-1,615	-562	679	-180	-1,046	-1,442
% ცვლილება წ/წ	5.3%	10.9%	-65.2%	-220.7%	-126.5%	480.8%	37.9%
ტრანზიტი	204	1,135	2,933	3,444	1,074	665	0
% ცვლილება წ/წ	-25.2%	457.8%	158.3%	17.4%	-68.8%	-38.1%	

წყარო: სემეკი, ესკო, მაცნე, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: 2026F მონაცემები წარმოადგენს გალტ & თაგარტის პროგნოზს



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაცვა იმ შემთხვევაში, როდესაც, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებაში უნდა იყოს ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ & თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0108, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge